მედეგობის მიმართება ორაზროვან დანაკარგთან და ფსიქიკურ კეთილდღეობასთან ქართველი ემიგრანტების ოჯახებში

თამარ ბედოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბედოშვილი

20.06.2024

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ია შეყრილაძეს, რომელიც მუდმივად ჩართული იყო კვლევის და ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა რჩევებს და რეკომენდაციებს და მეხმარებოდა ყველა სიძნელის დაძლევაში. მისი პროფესიული და ადამიანური დახმარების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 2

ორაზროვანი დანაკარგი 5

ემიგრაციასთან დაკავშირებული ორაზროვანი დანაკარგი 8

ფსიქიკური მედეგობა 10

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა 12

კვლევის მიზანი 14

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზები 14

მეთოდი 15

შერჩევა 15

პროცედურა 15

ინსტრუმენტები 16

შედეგები 18

დისკუსია 22

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები 26

დასკვნა 27

გამოყენებული ლიტერატურა 29

დანართები 34

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს მედეგობას, ორაზროვან დანაკარგსა და ფსიქიკურ კეთილდღეობას შორის მიმართების დადგენა ემიგრაციაში წასული ქართველების, საქართველოში მცხოვრებ ოჯახებში. კვლევა ჩატარდა 156 მონაწილესთან, რომლებიც წარმოადგენდნენ ემიგრანტების ოჯახების სხვადასხვა ჯგუფებს (მეუღლეები, მშობლები, შვილები, და-ძმა). მონაცემების შესაკრებად გამოყენებული იყო კითხვარები, რომლებიც შეიცავდა ორაზროვანი დანაკარგის, ფსიქიკური მედეგობისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შეფასების ინსტრუმენტებს.

კორელაციური და რეგრესიული ანალიზის საშუალებით გამოიკვეთა, მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია დანაკარგს და ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნას შორის, დადებითი კორელაცია გამოვლინდა ფსიქიკურ მედეგობასა და ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნას შორის. კვლევამ ვერ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავება ემიგრანტის შვილებსა და სხვა ოჯახის წევრებს შორის ორაზროვანი დანაკარგის მხრივ. კორელაციის კოეფიციენტი მიუთითებს, რომ მთლიანობაში არსებობს შედარებით ძლიერი კავშირი ორაზროვან დანაკარგს, მედეგობას და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის. რეგრესიული დამუშავების შედეგად ასევე აღმოჩნდა, რომ მედეგობა და დანაკარგი 43.1%-ით ხსნიან ცვლილებებს ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნის ქულებში.

წინამდებარე კვლევა ხაზს უსვამს ორაზროვანი დანაკარგის და ფსიქიკური მედეგობის მნიშვნელოვან როლს ემიგრანტების ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში და საჭიროებას, რომ დამატებითი კვლევები ჩატარდეს როლების ბუნდოვანების ზეგავლენის სიღრმისეულად შესასწავლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ორაზროვანი დანაკარგი, ფსიქიკური მედეგობა, ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნა, როლების ბუნდოვანება.

Abstract

The aim of this study is to determine the relationship between resilience, ambiguous loss, and psychological well-being among families in Georgia with members who have emigrated. The study was conducted with 156 participants representing various groups within emigrant families (spouses, parents, children, siblings). Questionnaires were used to collect data, containing instruments for assessing ambiguous loss, psychological resilience, and psychological well-being.

Correlation and regression analyses revealed a significant negative correlation between loss and psychological well-being and a positive correlation between psychological resilience and psychological well-being. The study did not find a significant difference in ambiguous loss between emigrants' children and other family members. The correlation coefficient indicates that there is a relatively strong overall connection between ambiguous loss, resilience, and psychological well-being. Regression analysis further showed that resilience and loss explain 43.1% of the variance in psychological well-being scores.

This study highlights the significant role of ambiguous loss and psychological resilience in the psychological well-being of emigrants' family members and underscores the need for further research to explore the impact of role ambiguity in depth.

Keywords: ambiguous loss, psychological resilience, psychological well-being, role ambiguity.